საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გიგინეიშვილი კონა მოსეს ძე

კ. გიგინეიშვილი

გიგინეიშვილი კონა მოსეს ძე (6. V. 1902, ქუთაისი, – 7. I. 1976, თბილისი), ფილოლოგი, ენათმეცნიერი. დაამთავრა ქუთ. ქართ. გიმნაზია (1920) და თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი (1929). 1921–24 მასწავლებლობდა სოფ. ნიგვზიანის (ახლანდ. ლანჩხუთის მუნიციპ.), ხოლო 1929–39 ბათ. სხვადასხვა სკოლაში. თსუ-ის ასპირანტურის დამთავრების (1942) შემდეგ პედ. მოღვაწეობას ეწეოდა ბათ. პედ. ინ-ტში (1942–54), იყო ქართ. ენის კათედრის გამგე. პარალელურად ლექციებს კითხულობდა ქუთ. პედაგოგიურ, თბილ. თეატრალურ და უცხო ენათა ინ-ტებში. 1954–66 გ. მუშაობდა საქართვ. მეცნ. აკად. ენათმეცნ. ინ-ტის სამეცნ. ტერმინოლოგიის განყ-ბის მეცნ. თანამშრომლად. როგორც სარედაქციო კომისიის წევრი და რედაქტორი იგი მონაწილეობდა დარგობრივი (ტექ., მეტალ., ფიზ., ელექტრონიკის, სას.-სამ., იურიდ., გეოგრ. და სხვ.) სამეცნ. ტერმინოლოგიების შემუშავებაში.

1966-იდან გარდაცვალებამდე მუშაობდა ქართ. ენციკლოპედიის *სალიტ.* კონტროლის რედაქციაში უფროს სამეცნ. რედაქტორად და სატრანსკრიფციო ჯგუფის ხელმძღვანელად. აქ მან დიდი წვლილი შეიტანა ენობრივი, ტერმინოლოგიური კითხვების გადაწყვეტაში, უცხოურ სახელთა ქართ. დაწერილობის დადგენაში და სხვ. გ-მა შეიმუშავა ბერძნ. და ლათ. საკუთარი (პირთა და გეოგრ.) სახელების ქართულად გადმოცემის წესები, რ-ებიც საფუძვლად დაედო მის მიერვე შედგენილ ბერძნ. და რომაული საკუთარი სახელების ორთოგრაფიულ ლექსიკონს (გამოიცა 1985, აღიარებულია ნორმატიულ

სახელმძღვანელოდ).

გ-ს მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: გიორგი ერისთავის კომედიების ენა,«ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. პედ. ინ-ტის შრომები», 1950, ტ. 1; ბრძანებითი კილო ძველ და ახალ ქართულში (ხელნაწერი; თეზისები გამოქვეყნდა); ბერძნული და რომაული საკუთარი სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 1985; Из истории грузинской грамматической терминологии, კრ.: Вопросы терминологии (Материалы Всесоюзного терминологического совещания), М., 1961.

ნ. გიოშვილი